



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბრძანება № MOH 1 22 00000197

ქ. თბილისი

28/11/2022 წელი



**„ტუბერკულოზის მართვა“ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა
(გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების
(პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 3
ივნისის №01-189/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „ტუბერკულოზის მართვა“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 3 ივნისის № 01-189/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დანართი №3 („სენსიტიური ტუბერკულოზის მკურნალობა“) - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/
შინაგადასმულია
ელექტრონულად

